

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 24 მაისის სხდომის
ოქმი N 4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 24 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 26. კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესახებ
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ
4. დოქტორანტების ხელმძღვანელების და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ
5. ფაკულტეტის გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თანამშრომელთა დამატების შესახებ
6. საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ
7. სახელობითი აუდიტორიის შესახებ
8. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოც.პროფ. მაგდა ალანას. ქალბატონმა მაგდამ აღნიშნა, რომ შესაბამისი დოკუმენტები ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და ხარისხის სამსახურის უფროსებს ადრევე დაეგზავნათ. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით შემოვიდა მრავალი შენიშვნა - ჩასამატებელი თუ შესაცვლელი. ქალბატონმა მაგდამ აღნიშნა, რომ შეჯერებული დოკუმენტი ყველა წინადადების გათვალისწინებით 26 მაისამდე უნდა გადაიგზავნოს. სხდომამდე შემოსული შენიშვნები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.დორეულმა, რ.ხომერიკმა. ბატონი რამაზი დაინტერესდა, თუ რა გადაწყდა ბიოფიზიკის სპეციალობასთან დაკავშირებით. პროფესორმა მ.ხაჩიძემ ბიოფიზიკის მაგალითზე ხარისხის მინიჭების არსებულ პროცედურაზე ისაუბრა. პროფესორმა დ.ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ბიოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლებს

მიაჩნიათ, რომ ბიოფიზიკა ორივე, ბიოლოგიისა და ფიზიკის დეპარტამენტში უნდა იყოს. ეს ეთანხმება არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას. ზოგადად, ქალბატონ დიანას საჭიროდ მიიჩნია წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით სამინისტროს პასუხისმგებელ წარმომადგენელთან შეხვედრა. ამ წინადადებას ყველა დაეთანხმა, რადგან ბევრი რამ არის ჩასამატებელი ან ერთი ადგილიდან მეორეში გადასატანი.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა შ.სამსონიამ, მ.ალანიამ, ნ.კოტრიკაძემ. პროფესორმა ნ.დორეულმა აღნიშნა, რომ წინა დოკუმენტში ჩაწერილი სპეციალობების სახელწოდებები შესაბამისობაში მოდიოდა ჩვენს სადოქტორო პროგრამებთან. ახლა კი ისე გამოდის, რომ ჩვენ ვამზადებთ დოქტორანტებს სპეციალობაში, რომელიც აღარ არსებობს. პროფესორმა ნ.კოტრიკაძემ აღნიშნა, რომ სპეციალობების ამოღება ხდება ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. კერძოდ, გაუქმდა უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობები და მათ ნაცვლად გაჩნდა მოლეკულური ბიომეცნიერებები, რომელიც გაუგებარია, რას მოიცავს. პროფესორმა მ.ხაჩიძემ აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში არ მოხდება ყველა იმ სპეციალობის შეტანა, რაც იუნესკოს რეკომენდაციებშია (ISCED Fields of Education and training 2013 (ISCED-F 2013) მოცემული.

გაიმართა ცხარე სჯა-ბაასი. პროფესორებმა დ.კერესელიძემ და გ.ღვედაშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი მოსაზრებების თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გადაგზავნა. პროფესორმა ნ.შათაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისობაში არ მოდის შეტანილი ცვლილებები და ის მიზნები, რისთვისაც გაკეთდა ცვლილება, ამიტომ დადგენილების პროექტი კიდევ უნდა დაიხვეწოს. ევროპულ დოკუმენტში მკაცრად ეწერა, რომ სპეციალობების იქ მოყვანილი ნუსხა არის შესაძლო და არ არის სავალდებულო ზუსტად მისი მიხედვით გაკეთდეს ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ შენიშნა, რომ იქმნება ახალი დოკუმენტი და საჭირო არაა ძველში ცვლილებების შეტანაზე საუბარი - ახალზე უნდა გამოითქვას შენიშვნები.

შემდეგ ბატონმა რამაზმა კენჭი უყარა საბჭოს დადგენილებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2017 წლის 18 მაისს მოწოდებულ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: 2017 წლის 24 მაისს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2017 წლის 18 მაისს მოწოდებულ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით დადგინდეს:

1. წარმოდგენილი პროექტი საბუნებისმეტყველო დარგებსა და კომპიუტერული მეცნიერებებში არ არის შესაბამისობაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ პროექტის ისეთ დასახულ მიზნებთან, როგორცაა «განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების თავსებადობის, შესაძარობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; მობილობის ხელშეწყობა, კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება», რადგან ამოღებულია ისეთი სპეციალობები და სპეციალიზაციები, რომლებიც დღეს აქტუალური და ტრადიციულია საქართველოში და ამავე დროს დამატებულია დღეს არარსებული სპეციალიზაციები.

სწავლების ხარისხს ვერ გაზრდის არარსებული სპეციალობების/სპეციალიზაციების საკვალიფიკაციო ჩარჩოში დამატება და იმ სფეროების ამოღება, რომელშიც საქართველოს

ჰყავს მსოფილოში აღიარებული მძლავრი კვლევითი და აკადემიური ჯგუფები/სკოლები. სწორედ ამ წამყვან ჯგუფებში მუშაობა და სწავლა განაპირობებს იმ მაღალ ხარისხს, რომლითაც გარანტირებულია სწავლის შედეგი და კვალიფიკაცია, შესაბამისად მათი თავსებადობა/აღიარება; შესაძლებელია მობილობის განხორციელება.

ამ სფეროების ამოღებით წამყვან აკადემიურ/კვლევით ჯგუფებს შეეზღუდებათ კადრების მომზადების შესაძლებლობა, რაც დროთა განმავლობაში შესაბამისი სფეროების დაკნინებას გამოიწვევს მანამ სანამ ახალი ჯგუფების მოძლიერება განხორციელდება (ეს ძლიერ ხანგრძლივი პროცესია, თუ საერთოდ შესაძლებელია მწირი დაფინანსებისას).

2. UNESCO-დან მოწოდებული ევროპული გზამკვლევი დოკუმენტი, რომელიც საფუძველია წარმოდგენილი პროექტის, არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის, რაც ხაზგასმულია სფეროების ჩამონათვალთან "შესაძლო"-ს მითითებით - "list of possible codes" (იხ. გვ. 54). შესაბამისად, ეს ჩამონათვალი ვერ იქნება ერთადერთი შესაძლებელი; მითუმეტეს რომ წარმოდგენილ პროექტში არა მარტო ევროპული „შესაძლო“ ჩამონათვალია, არამედ მასში დამატებულია გაურკვეველი სპეციალიზაციები ყოველგვარი არგუმენტირებული დასაბუთების გარეშე. საკვალიფიკაციო ჩარჩოში უნდა მოხდეს არსებული ქართული რეალობის გათვალისწინება ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგებში და კომპიუტრულ მეცნიერებებში როგორც კადრების (მაღალი მეცნიერული მიღწევებით საერთაშორისო დონეზე), ისე არსებული სასწავლო პროგრამების კუთხით.

3. მოქმედ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს არგუმენტებით გამყარებული, ასევე წინასწარ არაერთელ შეთანხმებული წამყვან სამეცნიერო და აკადემიურ ჯგუფებთან საქართველოში; რაც ამკარად აკლია წარმოდგენილ პროექტს. წარმოდგენილი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ პროექტის დამტკიცებამდე აუცილებელია ამ პროექტის ავტორებთან გაიმართოს საკონსულტაციო და განმარტებითი შეხვედრები თსუ-ს ზსმ ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, როგორც ეს ხდებოდა მოქმედი საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფორმირებისას.

4. საბჭო მხარს უჭერს ფაკულტეტის ყველა - 8 დეპარტამენტის მიერ წარმოადგენილ დეტალურ და არგუმენტირებულ მოსაზრებებს (იხ. დანართი 1-8) და იმედს იტოვებს, რომ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი გაითვალისწინებს წარმოდგენილ დადგენილებას.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

1. საბაკალავრო პროგრამა "ქიმია"
2. საბაკალავრო პროგრამა "გეორგრაფია"
3. სამაგისტრო პროგრამა "ქიმია"
4. სამაგისტრო პროგრამები "გამოყენებითი ფიზიკა" და "ფუნდამენტური ფიზიკა"
5. სადოქტორო პროგრამაში "ფიზიკა".

დეტალური ინფორმაცია ცვლილებები შესახებ იხ. დანართში 2.

საჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების დამტკიცების და აკადემიურ საბჭოსთვის წარდგენის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს და აკადემიურ საბჭოს წარედგინოს ფაკულტეტის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

1. საბაკალავრო პროგრამა "ქიმია"
2. საბაკალავრო პროგრამა "გეორგრაფია"
3. სამაგისტრო პროგრამა "ქიმია"
4. სამაგისტრო პროგრამები "გამოყენებითი ფიზიკა" და "ფუნდამენტური ფიზიკა"
5. სადოქტორო პროგრამაში "ფიზიკა".

დეტალური ინფორმაცია ცვლილებები შესახებ იხ. დანართში 2.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ქიმიის დეპარტამენტის პროფესორმა ო.მუკბანიანმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) პროფესორ მარკ აბადის შესახებ. პროფ. მარკ მედერედ ჯიმ აბადი 2006 წლიდან მეგობრობს ქიმიის დეპარტამენტთან და მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრასთან. მისი რჩევით 2007 წლიდან საფუძველი ჩაეყარა კავკასიის საერთაშორისო სიმპოზიუმს პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში. იგი ამ სიმპოზიუმების თანათავმჯდომარეა (www.tsu/icsp/, <https://www.tsu.ge/icsp2/>, <https://www.tsu.ge/icsp3/>, <http://www.icsp4.tsu.ge>, www.icsp.tsu.ge). წელს ის უკვე მეხუთეჯერ ჩამოდის სიმპოზიუმზე. მ.აბადი 2009-2010 წლებში კითხულობდა ონლაინ ლექციებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულების ბაკალავრებისათვის „გამოყენებით ეკოლოგიაში“. ის მზადაა ახლაც წაიკითხოს ლექციები ეკოლოგიებისათვის „მწვანე ქიმია“. 2013 წელს საფრანგეთის საელჩოსთან მისი უშუალო მონაწილეობით მიღწეულ იქნა ჩვენი მაგისტრანტებისათვის და დოქტორანტებისათვის დაფინანსების საფრანგეთში სწავლისთვის. მ. აბადის კანადაში გამოცემული აქვს საერთო წიგნები და შრომები თსუ მაკრომოლეკულების კათედრის ქართველ კოლეგებთან. დაწვრილებით პროფ.მ.აბადის შესახებ იხ. დანართებში 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) პროფესორ მარკ აბადისთვის თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის პროფესორ მარკ აბადისთვის თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ..

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - დოქტორანტების ხელმძღვანელების და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო კომპიუტერული მეცნიერების სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ გ.სირბილამის და მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ თ.თადუმამის განცხადებები დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების

შესახებ. განცხადებებს თან ახლავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების სხდომების ოქმები (იხ. დანართები 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომები სახელწოდებები და სამეცნიერო ხელმძღვანელები სადოქტორო პროგრამების მიხედვით:

სადოქტორო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“

1) დოქტორანტი **ლუკა გორგაძე:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. კობა გელაშვილი, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „პარალელური ალგორითმები, მონაცემთა სტრუქტურები და მათი ზოგიერთი გამოყენება“.

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“

1) დოქტორანტი **დავით გოგოლაშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფმმდ, თსუ ასოც. პროფესორი მალხაზ შაშიაშვილი; სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „დიფუზიური პროცესებისათვის საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვები ამოცანა“;

2) დოქტორანტი **ნათია ხაჩიძე:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფმმდ, თსუ ასოც. პროფესორი რომან კოპლატაძე; სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება „მაღალი რიგის განტოლების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ“.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - ფაკულტეტის გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თანამშრომელთა დამატების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწვირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინსტიტუტის დირექტორის, ემირიტუს პროფესორის, რევაზ ზარიძის განცხადება, სადაც იგი ითხოვს, რომ გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიას, რომლებიც დანიშნულნი არიან 2018 წლის 20 მარტამდე, დაემატოს კიდევ 4 თანამშრომელი (იხ. დანართი 5), ანაზღაურების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიისთვის კიდევ ოთხი თანამშრომლის დამატების შესახებ, ანაზღაურების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიას, რომლებიც დანიშნულნი არიან 2018 წლის 20 მარტამდე, დაემატოს კიდევ 4 თანამშრომელი ანაზღაურების გარეშე. კერძოდ,

- შეზღუდვების ამოცანების კვლევის განყოფილებაში - მაგისტრანტი ბაქარი ბარათაშვილი ტექნიკური მუშაკად;
- ელექტრომაგნიტური დაბინძურების შესწავლის განყოფილებაში - დოქტორანტები მარიამ წვერავა და თამარ ნოზაძე მეცნიერ-მკვლევარებად;
- დაცვის სისტემის კვლევის განყოფილებაში - მაგისტრანტი გიორგი პოპოვი ტექნიკური მუშაკად.

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხის სესახებ გამოვიდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა თემები შემდეგი კათედრებიდან და სამაგისტრო პროგრამებიდან: ფიზიკის დეპარტამენტი, ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრა, სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი ფიზიკა“; საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგია“; ქიმიის დეპარტამენტი, ორგანული ქიმიის, ბიოორგანული ქიმიის, მაკრომოლეკულების ქიმიის და ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრები; სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“ (მოდული „ანალიზური ქიმია“); გეოლოგიის დეპარტამენტი (დაწვრილებით იხ. დანართი 6).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დასამტკიცებლად წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთა თემებს (იხ. დანართი 6).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთა თემები (იხ. დანართი 6).

7. მოისმინეს: დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - სახელობითი აუდიტორიის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა სიტყვა გადასცა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ბ.თუთბერიძეს. მან აღნიშნა, რომ თსუ-ის პირველ კორპუსში განთავსებულ გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის ტერიტორიაზე არსებობდა 120-ე აუდიტორია, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის სახელს ატარებდა. 2008 წელს თსუ-ში ჩატარებულ ფუნდამენტურ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გეოლოგიის და პალეონტოლოგიის, მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრები გადატანილ იქნა თსუ-ის მე-11 კორპუსში, ხოლო ა. ჯანელიძის სახ. 120-ე აუდიტორიას მოეხსნა აბრა.

აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე ათეული წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ 1924 წელს დაარსებული გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის გამგე, ხოლო 1942-1945 წლებში - უნივერსიტეტის რექტორი. 1941-1963 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას. იმავდროულად, 1951-1955 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ბატონი ალექსანდრეს მიერ არის დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს. აკად. ა.ჯანელიძეს 2018 წელს დაბადებიდან 130 წელი უსრულდება.

პროფესორმა ბ.თუთბერიძემ თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მხედველობაში მიიღონ აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის უდიდესი დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე და შუამდგომლობით მიმართონ თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენ კომისიას, რათა თსუ-ის პირველ კორპუსში გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ აუდიტორიას (სასურველია 320-ე აუდიტორია) მიენიჭოს აკადემიკოს ა.ჯანელიძის სახელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის წინადადება თსუ-ის პირველ კორპუსში გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთი აუდიტორიისთვის (სასურველია 320-ე აუდიტორია) აკადემიკოს ა.ჯანელიძის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რათა თსუ-ის პირველ კორპუსში გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ აუდიტორიას (სასურველია 320-ე აუდიტორია) მიენიჭოს აკადემიკოს ა.ჯანელიძის სახელი.

8. მიმდინარე საკითხები. პროფესორმა მანანა ხაჩიძემ განცხადება გააკეთა ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ცვლილების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარებ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობა თსუ რექტორატს აქვს აღებული.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

